ოქმი:**ო03.37220321**

თარიღი:**01/02/2022**

# ოქმი № 3

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2021 წელი, 18 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ბ. თოიძე, ნ. ღაჟონია, ე. გორდელაძე, ქ. ხომერიკი, რ. დუმბაძე, გ. შარაშენიძე, მ. ვაშალომიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიშის შესახებ.

**მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა მოკლედ ისაუბრა აუდიტორული ანგარიშის შესახებ, აღნიშნა, რომ იგი მოიცავს 2014-2019 წლებს, გააცნო მისი ძირითადი შინაარსი, ნაკლოვანებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია ანგარიშში-ესაა ერთი და იმავე სახის ა(ა).ი.პ-ების შექმნა სპორტის , კულტურისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში, მათ მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშებზე, და სხვა.შემდეგ გააცნო რეკომენდაციები, რომლებიც ანგარიშშია წარმოდგენილი ა(ა).ი.პ-ების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. სხდომა ამის შემდეგ წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარის გ. ჩავლეშვილის წინადადებით ანგარიში მიიღეს ცნობად და მხარი დაუჭირეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას ცნობად მიღების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში მიიღებულ იქნას ცნობად და წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/